პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 ივლისი შაბათი 1972 წელი 2 ფაქ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 176 (15339)

ეს დღეები სოფლად



ვაზინავეთა ბრიგადაში (ბრიან სოფელ ხარაჩლოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერები. ამ-ბობენ: „ალიბაბა — მოქტარი, საბოლოოდ მეტია ... ცენტნერ ხორბალს ... კოლმეურნეობას მან მექტარზე უფრია უხვმოსავლიანი ჯიში „კოკეაზი“ და საშუალოდ მექტარზე 40 ცენტნერ ხორბალს ლეწავენ.

ხურათებზე: ზემოთ — პურეულის მკა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში; ქვემოთ — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ალიმამედოვი (მარცხნივ) და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი მ. ალიზადე მკის წინ ამოწმებენ ხორბლის სიმწიფეს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მუშათა კლასის ცვლა

ერთი თვე გავიდა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ეს დადგენილება კვალიფიციურ მუშათა მომზადების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესების გაშლილი პროგრამაა. იგი ნაკარნახევია სახალხო მეურნეობის განვითარებისა და წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის სკკპ XXIV კონგრესის მიერ დასახული ამოცანებით. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისა და მუშათა კლასის ღირსეული შევსების ჩამოყალიბების ძირითადი სკოლა ხდება.

ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე ცხადად ჩანს, თუ როგორ იზრდება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სპეციალობას დაუფლებული ახალგაზრდობა. ბევრი ისეთი კურსდამთავრებული გვყავს, რომელიც წარმოების ხელმძღვანელი, რაციონალიზატორი გახდა, ზოგს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ამ სასწავლებლებს აღზრდილთაგან ბევრი საქვეყნოდ ცნობილი ნოვატორი გახდა, ბევრმა მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა. ფართოდ გათქვეს სახელი ნაჭართველოში პროფტექნიკური სასწავლებლების აღზრდილებმა, ჩვენი მუშათა კლასის სახელოვანმა წარმომადგენლებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა გრიგოლ ბოგვერაძემ, ეთერ სოლომონიამ, შოთა ფირცხალავამ, ოთხეს ბაზარაძემ, ალექსანდრა გაბერელიძემ, ნანული ჩერქეზიშვილმა, გრიგოლ დოღოლაძემ, კონსტანტინე მდივანმა; პროფტექნიკური სასწავლებლის ერთ-ერთი აღზრდილი პავლე წერეთელი ლენინური პრემიის ლაურეატი გახდა, ხოლო მეორე — ნიკოლოზ პშენიჩნიკოვი საბჭოთა კავშირის გმირი. ამ ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, რომლებშიც ახალგაზრდობა იძენს პროფესიასაც, ზოგად საშუალო განათლებასაც. სასწავლებლებში მიღება განუწყვეტლივ იზრდება. საქართველოს სახალხო მეურნეობამ მარტო გახული ხუთწლედის მანძილზე ათეულ ათასობით კვალიფიციური ახალგაზრდა მუშა მიიღო, ხოლო არსებობის ოცდაათი წლის მანძილზე ეს სასწავლებლები ორასი ათასზე მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით საქართველოს პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა ხუთწლედის ბოლოსათვის გამოშვებულ ათეულ ათასობით კვალიფიციურ მუშათა შორის ოცი ათასამდე ახალგაზრდას პროფესიასთან ერთად საშუალო განათლებაც უნდა მისცენ.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები უნდა ამზადებდნენ ყოველმხრივ განვითარებულ, ტექნიკურად განათლებულ ახალგაზრდებს, იდეურად მტკიცე, პროფესიულ ოსტატობას დაუფლებულ მუშებს, რომლებსაც შეეძლებათ ითვისონ და სრულყონ ახალი ტექნიკა, ამრავლონ კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში მომავალი მუშათა კლასის რევოლუციური და შრომითი ტრადიციები.

ამასთან პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. ხარვეზები, რომლებიც პარტიისა და მთავრობის დადგენილებაშია აღნიშნული, შეეხება ჩვენი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთა მუშაობასაც. ეს არის, პირველ რიგში, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის ნაკლები უზრუნველყოფა სასწავლო პროცესში. პროფესიის სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია პროფესიის დაუფლება წარმოებაში შრომის პროცესის დროს. ამ პრინციპის განხორციელებაში მთელ რიგ სასწავლებლებში ჯერ კიდევ გვაქვს ხარვეზები. სამინისტროებმა, უწყებებმა, საბრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა შექმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ მაღალ დონეზე ეწყობოდეს მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა, მისი ორგანიზაციისათვის უნდა გამოყონ გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მაღალკვალიფიციური მუშები.

იქ, სადაც თეორიული მეცადინეობის დროს ფართოდ არის გამოყენებული სწავლების აქტიური ფორმები, მოწინავე მეთოდები, სადაც ინტენსიურად ინერგება ტექნიკური საშუალებანი, — მოსწავლეთა აკადემიური წარმატებაც მაღალია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სწავლის პროცესში მოსწავლეთა ხელით შექმნილი პროდუქციის ოდენობა ხულ უფრო იზრდება, ხარისხიც უმჯობესდება.

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ხასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების, სასწავლო სახელოსნოებისა და მეურნეობების, ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღჭურვას თანამედროვე მოწყობილობით, ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებით.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მოსწავლეთა სწავლების ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, ფართოდ გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი სწავლების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის გაძლიერებას.

მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია, რათა ქალაშვილებმა და ბაბუკებმა გამოიჩინონ ინტერესი ამა თუ იმ სამუშაო პროფესიის დასაუფლებლად. საჭიროა განათლების მუშაკებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შესაბამისი დახმარება გაუწიონ პროფტექნიკური განათლების ორგანოებს, მუდმივად აწარმოონ ახალგაზრდობაში ახსნაგანმარტებითი მუშაობა, უფრო ფართოდ უჩვენონ ქალაშვილებსა და ბაბუკებს, თუ რა შესაძლებლობებს ქმნის პროფესიულ-ტექნიკური განათლება, რათა ახალგაზრდობამ მიიღოს კვალიფიკაცია და აიმაღლოს ზოგადი განათლების დონე. პრესამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მუშური პროფესიების პრესტიჟის ამაღლებასა და სასწავლებლების ავტორიტეტის განმტკიცებას, უკეთ გააშუქოს სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, უფრო სრულად ასახოს სასწავლებლების მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა სწავლება და შრომა.

კვლავ დიდმნიშვნელოვან პრობლემად დგას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღების ორგანიზაცია, მათი დაკომპლექტება. ამ საქმეში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები პარტიული ორგანიზაციების მუდმივ მხარდაჭერასა და დახმარებას უნდა გრძნობდნენ. მუშური სასწავლებლების დაკომპლექტება მეტად სერიოზული საქმეა. ათასობით ბაბუკები და ქალაშვილები — რვა-და ათკლასდამთავრებულები — ისწრაფვიან მიიღონ მუშური პროფესიები, ერთდროულად საშუალო განათლებაც. წელს ახალგაზრდობის განსაკუთრებულ ლტოლვას პროფტექნიკური სასწავლებლებისაკენ ხელი შეუწყო პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანმა დადგენილებამ. ეს განადგენა არის — მუშური სასწავლებლების ცხოვრებაში ახალ სასწავლო წელს უნდა მოხდეს სერიოზული, ღრმა ცვლილებები. მიღებულ დოკუმენტში მთელი სიღრმით არის დამუშავებული პროგრამული დებულებანი, რომლებიც წამოყენებული იყო პარტიის XXIV კონგრესის მასალებსა და გადაწყვეტილებებში ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში.

პროფესიულ-ტექნიკური განათლება ცოცხალი, ორგანული ნაწილია სახალხო განათლების სისტემისა, და მისი სრულყოფის პროცესი წარმოებს, ვითარდება ამ საერთო კალაპოტში. პარტიის ყრილობამ დასახა ამოცანა დამთავრდეს ხაყოველთაო ხაშუალო განათლებაზე გადასვლა. გავაფართოოთ და განვამტკიცოთ საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები, განვავითაროთ ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც საშუალო კურსდამთავრებულებს აძლევს მუშურ კვალიფიკაციას, გავაუმჯობესოთ მუშაობა ერთ და ორწლიანი სწავლების სასწავლებლებისა, რომლებიც ამზადებენ მასობრივ პროფესიათა კადრებს, — ასეთია ამოცანა დღეს. ცხადია, პარტიული ორგანიზაციები აქაც, ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტის ავანგარდში უნდა იყონ.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარება, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, — საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ყოველი ღონისძიებით გაფართოება დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

ეჭვი არ არის, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოები და სასწავლებლები ყოველ ღონეს იხმარენ მუშათა კლასის ღირსეული ცვლის, კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლის მომზადებისა და აღზრდის გასაუმჯობესებლად.

მჭიან ბოლნისელები

კომბაინერთა შეჯიბრება

საქართველოში ახლა მარცვლეულის მოსავლის აღებისა და დაბინავების ცხარე, დაძაბული დღეებია. ჩქარობენ ბოლნისელი მშრომელებიც, რომ დროულად მომკან პურის ყანები, მიიღონ უხვი მოსავალი და სახელმწიფოს ბელელში მიიტანონ საიუბილეო წლის ჭირნახული.

ბოლნისის საბჭოთა მეურნეობაში ქერსა და ხორბალს 1.000 ჰექტარი უჭირავს. აქ ქერის ნოსავლის აღებას რომ მორჩნენ, მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა საწარმოო ძალები ხორბლის აღებაზე გადაიყვანეს.

12 კალენდარულ დღეში ავიღოთ მოსავალი! — ამ დევიზით გაიარეს მეურნეობის კომბაინერებმა სოციალისტური შეჯიბრება. მუშაობის პირველი შედეგები საუცხოოა. კომბაინერები მ. ტურაბოვი, ს. იაკუბოვი, მ. მეზტიევი და სხვები ყოველდღიურად ათ-თორმეტ ჰექტარზე იღებენ მოსავალს, მაშინ როცა გეგმა რვა ჰექტარს ითვალისწინებს.

მეურნეობის დირექტორს ნ. კობახიძეს პურის ყანაში შეეხვედრა. კომბაინერებს რჩევა-დარიგებას აძლევდა, მექანიზმი პირველი სიჩქარით ამუშავეთო.

— რატომ არის საჭირო სიჩქარის შენელება? — გკითხეთ მას.

— პირველი სიჩქარის დროს, — გვეუბნება დირექტორი, — კომბაინერი მთლიანად უდანაკარგოდ იღებს მოსავალს, ნამჯას არ მიაყვება არცერთი მარცალი. სწორედ საქმისაგან ასეთი დამოკიდებულებით აპირებენ ბოლნისელები წელს მიიღონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 2.700 ცენტნერი მარცვალი. აქ ვარაუდობენ, რომ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვალი მიიღონ, გეგმა კი 14 ცენტნერს ითვალისწინებს.

განსაკუთრებით კარგად იხარა წელს ხორბლის ახალმა ჯიშმა „კოკეაზმა“. იგი მეურნეობაში როგორც ექსპერიმენტი 17 ჰექტარზე დათესეს, კარგად მოუარეს და ჩინებული მოსავალიც მიიღეს, ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერს იღებენ.

— მომავალი წლისათვის, — ამბობს მეურნეობის დირექტორი ნ. კობახიძე, ხორბლის ამ ახალ ჯიშს 400 ჰექტარზე დავთესავთ. ვფიქრობთ ამით დიდად გავადიდებთ მარცვლეულის მოსავლიანობას.

დილადრიან, გამოდიან კომბაინები რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პურეულის ყანებშიც. აქ მოსავლის აღებას 10 კომბაინი ემსახურება. ტექნიკა კარგად მოამზადეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღებისათვის. წელს მოსავლის 1.168 ჰექტარზე აიღებენ. წინასწარი გაანგარიშებით აქაც სამი-ოთხი ცენტნერით გადიდდება საშუალო მოსავლიანობა.

ყოველ დღეს დაძაბულ, შემოქმედებით შრომაში ატარებენ კომბაინერები კ. დევნოზაშვილი, შ. კოდიამეილი, ს. ყურბანოვი და სხვები. მათი გადაწყვეტილებაა უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი და 12 კალენდარულ დღეში დამთავრონ ეს კამპანია.

ორგანიზებულად აწარმოებენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების, მოსავლის აღებას ავრეთვე სარაჩლოს რუსთაველის სახელობისა და ფაბრალოს გამარჯვების სახელობის კოლმეურნეობები.

წელს ბოლნისელი მემინდვრეები სულ 4.750 ჰექტარზე აიღებენ მოსავალს და სახელმწიფოს მიაყიღიან 2.500 ტონაზე მეტ მარცვალს.

კიდევ რამდენიმე დღე და ბოლნისელი მშრომელები უხვი მოსავლის მიღებას იზეიმებენ.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩაის პლანტაციებში

წალენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა, რომლებიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე დგანან, ამ დღეებში უფრო გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი კოლმეურნეობა დაწინაურდა. სასახელოდ შრომობენ წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს რაიონის ეგეგმის შესრულებაში. აქ უკვე მოკრეფილია 2.100 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში თავი ისახელეს სოფელ ჩქვალერის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა. მათ წარმატებით შეასრულეს მაის-ივნისის გეგმა. ასევე წინ მიდიან ივლისში. კოლმეურნეობის ბრიგადები და მეჩაიეები თავდადებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ქებას იმსახურებს მეორე ბრიგადის მეჩაიე გოგონა ბოხუა. მას ნაკისრი აქვს ვალდებულება ამ საიუბილეო წელს მოკრიფოს რვა ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. იგი ამ ვალდებულების განადდებას ვადაზე ადრე — აგვისტოში ფიქრობს. ახლა ყოველდღიურად კრეფის დავალებას სამმაგად ასრულებს — 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

სურათზე: სოფელ ჩქვალერის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ბოხუა ბოხუა.

ბ. ბოზოხიანი ფოტო.

ᲡᲡᲠᲙ 50

ეძღვნება საბჭოთა ხალხების ძმობას

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი კითხვა დაიწყო 25 ივლისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ამ ღონისძიებას დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისათვის აწყობენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტი, საკავშირო პროფსაბჭო, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“.

კითხვა გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ი. გრეკოვმა. ლექცია „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს დამაარსებელი და ორგანიზატორი“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ი. ზევინმა.

ლექციათა ეს ციკლი დეკემბრამდე გაგრძელდება. მოსკოველთა წინაშე გამოვლენ პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები. წაიკითხავენ ლექციებს „სსრ კავშირის შექმნა და განვითარება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყველა საბჭოთა ერის რევოლუციური შემოქმედების შედეგი“, „სკკპ XXIV კონგრესთა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების შესახებ“, „კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიადი ინტერნაციონალური ამოცანაა“ და სხვ. (საკდესი).

საერთაშორისო საზოგადოებრიობა პასუხობს

მოსკოვში გავლით იმყოფება სპეციალური კომისია, რომელიც მიემგზავრება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რათა შეაგროვოს ნივთიერი მტკიცებანი ამერიკელ აგრესორთა აღვირახსნილი თარეშის შესახებ. კომისიას მეთაურობს ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის გენერალური მდივანი ე. ფრანკე.

27 ივლისს კომისიის წევრები შეხვდნენ საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს. ე. ფრანკემ განაცხადა, რომ კომისიის მონაწილეებს განზრახული აქვთ დაათვალიერონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯვბირები და კაშხალები, საავადმყოფოები და ჰოსპიტალები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ დაბომბა, შეაგროვოს სხვა მტკიცებანი ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობის სხვადასხვა საშუალებათა გამოყენების შესახებ.

კომისიის წევრები არიან დანიის, ირლანდიის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცის, საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები და იურისტები, რომლებიც შეგროვილ მასალებს წარუდგენენ ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის მორიგ სესიას. (საკდესი).

გაზს იღებენ სოფლები

საბჭოთა კავშირის გაზის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოფლის რაიონების გაზმომარაგების გენერალური სქემა.

— ამ სქემაში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს „საკგაზფიკაციის“ გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ი. ი. რადნიკმა, — გაზნოგადებულია საოლქო და რესპუბლიკური სამმართველოების, ორი ათასი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წინადადებანი.

ახლა სოფლების, აულებისა და ყიშლაყების 23 მილიონზე მეტი მცხოვრები სარგებლობს ცისფერი სათბობით. მილებით, ავტოცისტერნებით, बალონებით გაზი მიაქვთ შორეულ რაიონებში, საყარებსა და მწყემსთა ალაჩიყებში. გაზით ათბობენ მეცხოველეობის ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებს, აშრობენ მარცვლეულსა და ბამბას, საჭირო მიკროკლიმატს ქმნიან სათბურებში.

სოფლის მეურნეობის გაზიფიკაციისათვის მიმდინარე ხუთწლეულში გაცილებით მეტი სახსრებია გამოყოფილი, ვიდრე სხვა დროს. ხუთწლედის დამეკვანებისათვის გაზით გათბობაზე გადავა სოფლის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი. ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა ყაზახეთი, სომხეთი, ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, ყირგიზეთი და თურქმენეთი გაზიფიცირებული იქნება პრაქტიკულად ყველა სოფელი.

ამ დიდ მუშაობაში წამყვანი როლი ეკუთვნის თხევად გაზს. ჯერჯერობით დაბების მომარაგება बალონის გაზით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე თვითეულ სოფელში, და მით უმეტეს თვითეულ სახლთან ძვირადღირებული გაზსადენის გაყვანა. 1975 წელს სოფლის მიაწვდიან ორ მილიონამდე ტონა თხევად გაზს — თითქმის ერთიოთხად მეტს, ვიდრე ხუთწლედის დამდეგს.

ბუნებრივ ჯაზს ძირითადად მიიღებენ დიდი დასახლებული პუნქტები, მეცხოველეობის კომპლექსები, სახათბურე კომბინატები, რომლებიც მაგისტრალური გაზსადენების ახლოს მდებარეობენ. აქ დიდი შესაძლებლობები აქვს როსტოვისა და ტულის ოლქებს, სტავროპოლს, კრასნოდარის მხარეებს, ბოსკოვის, უკრაინის, ბალტიის-პირეთის, ბელორუსიის ბევრ რაიონს.

წინასწარი გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ მომავალ ხუთწლედში გაზის სათბობზე გადავა სოფლის მცხოვრებთა 80-ოდე პროცენტი.

ტაშკენტის მეტროს პირველი საღგური

ტაშკენტი. 21 ივლისი. (საკდესის კორ.). ტაშკენტის მეტროს მშენებლები შეუდგნენ სადგურების აგებას. დღეს ორი მაგისტრალის — ხალხთა მეგობრობის პროსპექტისა და მუკიმის ქუჩის გაჯვარედინზე საძირკველი ჩაუყარეს პირველ სადგურს, რომელიც ატარებს XIX საუკუნის უზბეკი პოეტის მუკიმის სახელს.

ექსკავატორებმა ამოიღეს პირველი ასეული კუბური მეტრი მიწა ღრმულიდან — სადგურს აშენებენ ღია ხერხით.



სსრ კავშირი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაციის უფროსის ვიზ

ერთა და ეროვნულ ურთიერთობათა განვითარება

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომლის 50-ე წლისთავი მიმდინარე წელს აღინიშნება, სსრ კავშირში განვითარებული სოციალიზმის დამკვიდრებისა და კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. ამ კავშირის სიმტკიცე, რომელიც ათიოდულწლეულთ არის შემოწმებული, განაპირობებს კომუნისტური პარტიის ახალ წარმატებებს ერთა და ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების პრობლემის გადაჭრაში.

რაშია ამ პრობლემის არსი? როგორია თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეროვნული პოლიტიკის შინაარსი? ერთა და ეროვნულ ურთიერთობათა განვითარებაში რა პროცესები ხდება სსრ კავშირში ამჟამად?

1.

პარტიის ეროვნული პოლიტიკის არსი კაცად განსაზღვრა სკკპ XXIV ყრილობამ როგორც თვითეული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარება, ერთა და ეროვნებათა შემდგომი თანდათანობითი ურთიერთ დაახლოება, როგორც მთელი კავშირის საერთო ინტერესების, ისე მისი შემადგენელი თვითეული რესპუბლიკის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი პარტიის ეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც მისი საფუძვლების შემქმნელის სახელის მიხედვით ჩვენ ლენინურ პოლიტიკას ვუწოდებთ, არის აგრეთვე ხალხთა მეგობრობის ყველა ღონისძიებით განმტკიცება, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა, შეურიგებელი ბრძოლა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ოდნავ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

პარტიის მთავარი დასაყრდენი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში საბჭოთა მუშათა კლასია.

ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში პროფკავშირთა XV ყრილობაზე 1972 წლის 20 მარტს განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა მუშათა კლასის როლს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში. მუშათა კლასი, რომელიც ახლა შეადგენს შრომის მძლავრ არმიას — 65 მილიონ კაცს (ამასთან ორ მესამედზე მეტი ეს მრეწველობის მუშებია), განუხრელად აძლიერებს თავის როლს როგორც წამყვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ძალა ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, მათ შორის ეროვნული ურთიერთობის სფეროში. რაში მდგომარეობს ეს როლი?

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, რომელიც ეროვნული რაზმების შენაფიცრობს წარმოადგენს, აქტიურად იბრძვის ხალხთა ყოველმხრივი ეროვნული განვითარებისათვის. მათი აყვავებისათვის. ამავე დროს თავისი მდგომარეობითა და კომუნისტური იდეალებით მუშათა კლასი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მატარებელია და გამოდის ერთა, ეროვნებათა ურთიერთ დაახლოების ძირითად სოციალურ ძალად, იმ ძალად, რომელიც ინტერნაციონალიზმს ცხოვრებაში ახორციელებს.

საბჭოთა მუშათა კლასი კოლმეურნე გლეხობასთან კავშირის სულის-ჩამდგმელი და ორგანიზატორია. მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ეს კავშირი გადაიქცა უდიდეს სოციალურ-პოლიტიკურ ძალად, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენებლობას. სწორედ მის საფუძველზე ხდება საბჭოთა საზოგადოების შემდგომი იდეურ-პოლიტიკური და სოციალური კონსოლიდაცია, ერთა და ეროვნებათა დაახლოება.

2.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სსრ კავშირის 50-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ აღნიშნულია, რომ „საბჭოთა ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების უმჭიდროესი ერთიანობა, ყოველმხრივი აყვავება და განუხრელი დაახლოება განიხილება ჩვენი წყობილების ბუნებით, გამოდის როგორც სოციალიზმის განვითარების ობიექტური კანონზომიერება“.

დასახელებული კანონზომიერება სოციალიზმისა, რომელიც კომუნიზმში გადაიზრდება, ერთა ცხოვრებაში, ეროვნულ ურთიერთობაში თავს იჩენს ორი ტენდენციის ფორმით. პირველი მათგანი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ტენდენცია თავისუფალი ეროვნული განვითარებისაკენ, აყვავებისაკენ, მეორე — როგორც ტენდენცია ერთა თანდათანობითი ყოველმხრივი დაახლოებისაკენ მომავალში მათი გაერთიანების გზაზე. სოციალიზმის თვით ბუნების მიხედვით ამ ტენდენციების გამოვლინება პარმონიულ სახითაა ატარებს: ეროვნის აყვავება შეუძლებელია მათი ერთდროულად ერთმანეთთან დაუახლოებლად, ხოლო დაახლოება ხდება სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ერთა აყვავების საფუძველზე.

3.

კომუნიზმის მშენებლობის პირობებში ეროვნული ურთიერთობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, ეკონომიკის განვითარებაში მათი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გაღრმავება.

სოციალიზმის გამარჯვებამ გამოაყალინა სსრ კავშირის ხალხთა მძლავრი შინაგანი პოტენციები და ამავე დროს განაპირობა ერთაშორისი კეთილშერეულობიერთობის განმტკიცების საფეროების გაფართოვება. ერთა აყვავებაზე, მათი განვითარების დონეთა გათანაბრებასა და მათი ერთობლივი შრომის შედეგებზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქცია 1971 წლისათვის 1913 წელთან შედარებით ხასიათდება ზრდით 99-ჯერ. რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის ეს მაჩვენებელი ულრის 99-ს, უკრაინისათვის — 65-ს, ბელორუსისათვის — 113-ს, უზბეკეთისათვის — 45-ს, ყაზახეთისათვის — 158-ს, საქართველოსათვის — 89-ს, აზერბაიჯანისათვის — 35-ს, ლიტვისათვის — 87-ს, მოლდავეთისათვის — 166-ს, ლატვიისათვის — 28-ს, ყირგიზეთისათვის — 211-ს, ტაჯიკეთისათვის — 95-ს, სომხეთისათვის — 201-ს, თურქმენეთისათვის — 50-ს, ესტონეთისათვის — 38-ს. თუ გავითვალისწინებთ მეტი წილი ხალხების ჩამორჩენილობას წარსულში და სხვაობის იმ დონეებს, რომლებშიც ისინი სოციალისტურ მშენებლობას იწყებდნენ, უკვე მოყვანილი მონაცემებით შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა გიგანტურ ალმავლობას მიაღწიეს, რა მნიშვნელობა აქვს ამაში მათს გაერთიანებულ შრომას.

რა თქმა უნდა, ამა თუ იმ რესპუბლიკის დამოუკიდებელ რესპუბლიკურ განვითარებაზე მხოლოდ პირობითად შეიძლება ლაპარაკი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რესპუბლიკების ეკონომიკა ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია; მეორე, იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის რომელიც ენებავთ დარგის განვითარებაში, რომელიც ენებავთ მსხვილი მშენებლობის აკეთებაში ახლა პრაქტიკულად ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს ყველა რესპუბლიკა, ასობით, ხოლო არც თუ იშვიათად ათასობითაც მათი საწარმოები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და ა. შ.

ხალხთა თანამშრომლობის თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თავისებურებაა საწარმოო კოოპერაციების მრავალეროვნულობის ზრდა. მაგალითად, ყაზახეთის მაგნიტკაში მხარდამხარ შრომობენ 46, ვოლგისკის ავტოქარხანაში — 44, ნურეკის ჰესის მშენებლობაზე — 41 ეროვნების მუშები და სპეციალისტები. ასეთი მაგალითი ათასობით შეიძლება მოვიყვანოთ. ეს მაგალითები კი ახასიათებენ მთავარ რამეს ჩვენს ცხოვრებაში: კომუნიზმის ერთობლივად მშენებლობას ყველა ეროვნების მშრომელების მიერ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის XXIV ყრილობისადმი სანაგარიშო მოხსენებაში დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ კომუნისტური მშენებლობის პირობებში ერთა და ეროვნებათა ეკონომიურ აყვავებასთან ერთად იზრდება მათი სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა, სრულყოფილი ხდება ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, მამდინარეობს მათი ეროვნული კულტურების სწრაფი განვითარება.

4.

ეროვნული განვითარება სოციალიზმის დროს ხდება ინტერნაციონალურ საფუძველზე, რომელიც სტიმულს აძლევს ერთა ურთიერთ დაახლოებას. ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ეს იწვევს ეროვნული ფაქტორის განვითარების შესუსტებას, შეზღუდვას ინტერნაციონალური ფაქტორისი. თანაფარდობის დიალექტიკა აქ სხვაა, და მდგომარეობს არა უბრალოდ ურთიერთკავშირსა და ურთიერთმოქმედებაში, არამედ ურთიერთგანაპირობებულობაშიც, ურთიერთშეღწევაშიც კი. ინტერნაციონალური თავისთავად არ არსებობს, არამედ მხოლოდ ეროვნულის საფუძველზე, ეროვნულთან ერთიანობაში. ხოლო ეროვნული ყველა თავის ძირითად გამოვლინებაში ვითარდება ინტერნაციონალურ ბაზაზე.

ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთიანობის თანაფარდობის ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ განსახიერებულია საბჭოთა ხალხში, როგორც ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობის ერთიანობაში. ეს ერთობა ჩამოყალიბდა ძირითადად ჯერ კიდევ სოციალიზმის მშენებლობისა და განვითარებული ფორმით მისი ქმნადობის პირობებში და განვითარებას განაგრძობს კომუნისტური აღმშენებლობის ეტაპზეც, ამასთან მტკიცდება თვით საფუძვლები საბჭოთა ხალხის არსებობისა და განვითარებისა: სოციალისტური საკუთრების საზოგადებრივი ხასიათი; ერთიანი საბჭოთა ეკონომიკა; საბჭოთა წყობილების ინტერნაციონალური შინაარსი; შინაარსით სოციალისტური და თავისი მრავალსახოვანი ფორმებით ეროვნული კულტურა; მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალური იდეოლოგია; ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით შეიარაღებული ლენინური კომუნისტური პარტიისა კომუნისტური მშენებლობის პირობებში გრძელდება სსრ კავშირში შემავალ ერთა და ეროვნებათა საერთო ნიშნების: ინტერნაციონალური შეკვრების, სულიერი სახის საერთო ნიშნების, მორალის, ტრადიციების და ა. შ. ჩამოყალიბების პროცესი.

5.

თანამედროვე ეტაპზე გრძელდება ეროვნულ კულტურათა ურთიერთგაგლენისა და უნაყოფიერთგამდიდრების პროცესი, ერთიანი საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის განვითარება. იგი ითვისებს საუკეთესო ეროვნულ თვისებებსა და მიღწევებს, რასაც განსაკუთრებით დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც ამჟამად 75 ენაზე ვითარდება.

წლითიწლობით იზრდება ხალხთა მოთხოვნილება უფრო ღრმად შეისწავლონ მსოფლიო კულტურა. ეს კარგად ჩანს თარგმნითი ლიტერატურის მასშტაბებით: 1970 წელს სსრ კავშირის ხალხთა ენებზე გამოიცა თარგმანები 101 ენიდან (მათ შორის უცნობ ენებიდან); ითარგმნა 6292 წიგნი და ბროშურა, 167 მილიონზე მეტი ეგზემპლარი ტირაჟით.

საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის ქმნადობისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ორენიანობის ზრდა, განსაკუთრებით რუსული ენის ფუნქციების გაფართოება, როგორც ერთა შორის ურთიერთობის ენისა ეროვნული ენების თავისუფალი განვითარების პარალელურად. 1959 და 1970 წლების აღწერებს შორის განვლილ 11 წელიწადში ეროვნებით არარუს იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც თავიანთ შობლიურ ენად რუსული დაასახელეს, 10,2 მილიონიდან 13 მილიონამდე გაიზარდა. ამავე დროს მნიშვნელოვნად გადიდდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც რუსულ ენას ან სხვა ენას ფლობენ თავიანთ დედა-ენის პარალელურად.

ასეთია მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი სსრ კავშირში ერთა და ეროვნებათა განვითარებისა და კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, ასეთია კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგები.

მ. კულიჩენკო,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

მეგობრობის სალამო

ეროვნულ ურთიერთობათა

ბაკინი სამშობლოს ხალხთა ლენინური მეგობრობის [illegible] ფრუნზეს წარმომადგენლებს [illegible] ლენინურ [illegible] ეგობრულად დღესასწაულად გადაიქცა [illegible] ურთიერთობის [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული

დიდი აღიარება

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად

სოციალისტური ქვეყნების მშრომელნი ემზადებიან, რომ ფართოდ აღნიშნონ ღირსშესანიშნავი თარიღი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი. ამ დღესასწაულისათვის მზადება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ხალხებსა და მომავე სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნიშნით.

პრაღა. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ჩეხოსლოვაკიაში დღესასწაულობენ 4 ოქტომბერს ლოზუნგით: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკია“. ეს ნათქვამია გადაწყვეტილებაში, რომელიც მიიღო პრაღაში გამართულმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის კომპანიების საკოორდინაციო კომისიის სხდომამ.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის დიდი მუშაობა გაიშალა როგორც ჩეხიის, ისე სლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკებში.

პრაღის ცენტრში რესპუბლიკის მოედანზე გაიხსნა ფოტოგამოფენა „სსრ კავშირის აყვავების 50 წელი“, რომელიც ასახავს საბჭოთა ქვეყნის შესანიშნავ მიღწევებს ცხოვრების ყველა დარგში. იუბილეს დღესასწაულობის მსვლელობაში ჩეხოსლოვაკიაში უკვე მოეწყო შეხვედრები, გამოფენები, კინოფესტივალები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა უკრაინას, შუა აზიის რესპუბლიკებს, საბჭოთა ამიერკავკასიას. შემოდგომაზე პრაღაში გაიხსნება დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში 50 წლის მანძილზე მომხდარ უდიდეს ცვლილებებს.

ვარშავა. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულის მოსამზადებლად დიდ მუშაობას ეწევა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება. საიუბილეო ზეიმი გაგრძელდება 1973 წლის აპრილამდე, როცა პოლონეთში აღინიშნება ლენინის ტრადიციული დღეები.

თვითეული საოლქოდოში მოეწყობა საბჭოთა ქვეყნის მიღწევებისადმი მიძღვნილი სემინარები და სამეცნიერო სესიები. ათასობით პოლონელი მშრომელი მიდის საბჭოთა კავშირში „მეგობრობის მატარებლებით“. ვარშავაში გაიხსნება გამოფენა „საბჭოთა კავშირი — ქვეყანა და ადამიანები“. კატოვიცის საოლქოდოში გაიმართება რუსული და საბჭოთა პიესების სრულიად პოლონეთის ფესტივალი, კონკურსი სსრ კავშირის ხალხთა ცეკვების საუკეთესო შესრულებისათვის. მთელ რიგ საოლქოდოებში ოქტომბერში მოეწყობა მომე საბჭოთა რესპუბლიკების დღეები, მოამზადებენ ხუთ მოძრავ გამოფენას სსრ კავშირისა და საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ.

სოფია. მომე სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ერთად ბულგარეთის მშრომელნი ემზადებიან, რომ ზეიმით აღნიშნონ სახელოვანი წლისთავი საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში.

დამტკიცებულია იუბილეისათვის მზადების ღონისძიებათა პროგრამა, რომლებსაც აწყობენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტი, სამამულო ფრონტი, პროფკავშირები, კომკავშირი, მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტი, შემოქმედებითი კავშირები, ბევრი სხვა ორგანიზაცია.

დღესასწაულობის ცენტრალური მოვლენა იქნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიკადა, რომელიც ჩაივლის 5-დან 15 დეკემბრამდე. დიკადის დროს მთელ ბულგარეთში გაიმართება საზეიმო კრებები, სამეცნიერო სესიები, ლექციები, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამოები.

ნოემბერში სოფიაში მუშაობას დაიწყებს სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. საბჭოთა წიგნის ტრადიციული ყოველწლიური დიკადა, რომელიც დეკემბერში იმართება, წელს მიეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ბულგარეთის ყველა გამომცემლობა გამოუშვებს ღირსშესანიშნავი წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულებსა და ალბომებს.

(საკლესი. 28 ივლისი.)

„კომუნისტის“ ინტერვიუ

კატობრიობის ყვალინდელი ენერგია

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ტილტონში (ნიუ-ჰემპშირის შტატი) გაიმართა გორდონის სახელობის კონფერენცია, მიძღვნილი პლაზმის ფიზიკის საკითხებისადმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა ჯუმბერ ლომინაძემ.

უკანასკნელ წლებში ქართველ მეცნიერთა კონტაქტები საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებში სულ უფრო ინტენსიური და ფართო ხდება. სასიამოვნოა, რომ საქართველოს მეცნიერებისა თუ ტექნიკის წარმომადგენლები, რომლებიც მეცნიერების თანამედროვე საკითხებზე მუშაობენ, აქტიურად მოღვაწეობენ საერთაშორისო დონეზე. ფიზიკის სწორედ ამგვარ, შეიძლება ითქვას, უყველაზე საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს დღეს პლაზმის ფიზიკა, რომლის ურთულეს პრობლემებს მიეძღვნა გორდონის 1972 წლის კონფერენცია.

— ჯერ, რასაკვირველია, ორიოდე სიტყვით მინდა დავახასიათო, თუ რას წარმოადგენს პლაზმის ფიზიკა, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ჯ. ლომინაძემ. — ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და თამამი სამეცნიერო პრობლემა, რომლის წარმატებით გადაჭრა კაცობრობის უზრუნველყოფს პრაქტიკულად ამოუწურავი ენერგიით.

ენერგიამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოების განვითარების ისტორიაში, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე არსებული ენერგიის წყაროები, რომელთა ექსპლოატაცია ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება, ამოუწურავი როდია.

ყველაფერი ეს აიძულებს კაცობრობას ეძებოს ენერგიის ახალი წყაროები. მაგრამ სად? როგორ? ცნობილია, რომ არსებობს მსუბუქი ელემენტების ბირთვების შერწყმის რეაქცია — სინთეზი, ანუ თერმობირთვული რეაქციები. სწორედ ამგვარი რეაქციების შედეგად მილიარდი წლების განმავლობაში მზისა და სხვა ვარსკვლავებზე გამოიყოფა ფანტასტიკური ენერგია, ხოლო ამ რეაქციების საწვავს წარმოადგენს დეიტერიუმი, რომლის მიღება ჩვეულებრივი წყლისაგან შეიძლება. ეს რეაქციები მიმდინარეობს მილიონობით გრადუსი ტემპერატურის დროს. მაგალითად, მზის ცენტრში ტემპერატურა 10 მილიონ გრადუსს უდრის. ასეთი წარმოუდგენელი ტემპერატურის დროს კი ნივთიერება იმყოფება განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომელსაც პლაზმა ეწოდება. ეს არის ნივთიერების მეოთხე, აგრეგატული მდგომარეობა. მართალია, დედამიწაზე თერმობირთვული რეაქცია პირველად წყალბადის ბომბში განხორციელდა, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით ეს არ არის საკითხის გადაჭრა. მეცნიერთა ამოცანაა დაიმორჩილონ და კონტროლი გაუწიონ ამ რეაქციას, კაცობრობის სამსახურში ჩააყენონ იგი. თუ ადამიანმა ისთერმობირთვული რეაქციების დარგში მიღებული შედეგები ყველაზე მნიშვნელოვანი და გამამხნევებელია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას წამყვანი ადგილი უჭირავს თერმობირთვული რეაქციების შესწავლის საქმეში. 1969 წელს აკადემიკოს ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში მეცნიერთა ჯგუფმა, აკადემიკოს ლ. არციმოვიჩის ხელმძღვანელობით, სამამულო „ტოკამაკის“ დანადგარში შეძლო გაეხურებინა პლაზმა 30 მილიონ გრადუსამდე და გააჩერა იგი სტაბილურ მდგომარეობაში წამის ერთი ორმოცდამეათე დროის განმავლობაში. ეს იმდენად სენსაციური მიღწევა იყო, რომ თავდაპირველად სკეპტიკურადაც კი მიიღეს. გარდა ამისა, უკანასკნელი წლების თეორიული და პრაქტიკული მიღწევები მსოფლიოს სხვადასხვა ლაბორატორიებში ადასტურებენ, რომ პლაზმის ფიზიკა მართლაა ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს წინ.

— ჩვენ იმდენად გაგვიტაცა ამ უჩვეულო საკითხებზე საუბარმა, რომ ძირითადი თემა — გორდონის კონფერენცია გადავავიწყდა.

— გორდონის კონფერენცია — ეს არის ამერიკის ეროვნული კონფერენცია, ფიზიკოსთა არაფორმალური შეკრება, რომელშიც მონაწილეობს დაახლოებით ასი მეცნიერი.

— გორდონის კონფერენციები მარტო ფიზიკის პრობლემებს ეხება?

— არა. ნოელ გორდონმა 1931 წელს ჩაუყარა საფუძველი ამგვარ შეკრებებს. კონფერენციები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ტრადიციულად იქცნენ და ახლა ყოველწლიურად 70-მდე გორდონის კონფერენცია იმართება მეცნიერების სხვადასხვა დარგში — ბიოლოგიაში, ქიმიაში, მედიცინაში და ა. შ. წლეგანდელი კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი და გრანდიოზული ამოცანაა. დღეისათვის მისი პრაქტიკული განხორციელება ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, მაგრამ უკვე არსებობენ მნიშვნელოვანი იმედის მომცემი მიღწევები.

— ესე იგი სამართავი თერმობირთვული რეაქციის განხორციელება, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის კაცობრიობის ხვალინდელი დღე?

— დიახ, ეს ასეა, რადგან ლაპარაკია თვისებრივად სრულიად ახალ ენერგიის წყაროზე, რომელიც კაცობრობას უზრუნველყოფს ისეთი ენერგიით, რომლის გამოყენების პერსპექტივების წარმოდგენა დღეს შეუძლებელია.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ დღეისათვის ამოცანა გადაუჭრელია, მაგრამ არის იმედის მომცემი მიღწევები. რას გულისხმობთ?

— პლაზმის ფიზიკაში ახლა მრავალი ქვეყნის მეცნიერები მუშაობენ. ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაშიც, სადაც სამართავი თერმობირთვული რეაქციების მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართება. როგორც მაშინ, ისე ახლა ბევრი და საყურადღებო რამ ვნახე. მაგალითად, ვაშინგტონში საზღვაო საკვლევ ლაბორატორიაში ძალიან საინტერესო სამუშაოები მიმდინარეობს პლაზმის ფიზიკის დარგში. ერთი ჯგუფი იქ იმ საკითხებზე მუშაობს, რომელიც ჩემს მოხსენებაში იყო აღნიშნული. ლაბორატორიებში მიმდინარეობს როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული ძიება. ხანელდახელოდ გამართულ სემინარზე მთხოვეს მოხსენების წაკითხვა. საქმე ის არის, რომ ვაშინგტონის ლაბორატორიის თეორეტიკოსებს მეცნიერული დავა აქვთ ამერიკის ცნობილი ცენტრის ლოს-ალამოსის ჯგუფთან პლაზმის ფიზიკის ანომალიური მოვლენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევაში. ჩემს მიერ მიღებული შედეგები დაეშინა ვაშინგტონის ჯგუფის მიერ მიღებულ დასკვნებს. სწორედ ამან განაპირობა მათი ინტერესი ჩემი მოხსენებისადმი.

პლაზმის ფიზიკის შემსწავლელი წამყვანი ცენტრია ლაბორატორია პრინსტონში. აქ საუკეთესო ფიზიკოსებს მოუყრიათ თავი და შესანიშნავად აღჭურვილი ლაბორატორიები აქვთ.

— თუ გქონდათ დრო გასცნობოდით ამერიკის არა მეცნიერულ, „არაფიზიკურ“ მხარეს?

— დრო ცოტა, მაგრამ მაინც იყო, რომ დამეთვალიერებინა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ-იორკში და ვაშინგტონის ეროვნული გალერეა, ლინკოლნის მუსიკალური ცენტრი, ჰიპების თავშეყრის მეკა ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში. ვხვდებოდი სტუდენტებს. ამერიკელი სტუდენტები საკმაოდ არიან დაინტერესებული პოლიტიკით, განსაკუთრებით აინტერესებდათ საბჭოთა კავშირში სწავლის საკითხი. კერძო უნივერსიტეტებში, სწავლა, მაგალითად, კორნელისა და როჩესტერის ცნობილ უნივერსიტეტებში ძალიან ძვირია—წელიწადში 3 4 ათასი დოლარი. მათ გაგებული აქვთ, რომ ჩვენში სწავლა უფასოა, ეს ბევრს უკვირს, ბევრს არც კი სჯერა. დიდ ინტერესს იჩენდნენ ამერიკელები პრეზიდენტ ნიქსონის ვიზიტისადმი. იწონებდნენ მას და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ურთიერთობის დამყარება მშვიდობის გამარჯვებას მოასწავებს.

საერთოდ კი, ამერიკა და მისი ყველაზე დიდი ქალაქი ნიუ-იორკი — ეს არის საოცარი კონტრასტების სამყარო, რომელიც უცხოელისათვის მეტად დამღლელი და უჩვეულოა.

რასაკვირველია, ეს მხოლოდ ზერელე დაკვირვებებია. ქვეყანას კარგად რომ გაეცნო, საჭიროა მეტი დრო და ალბათ მეტი მოგონებაც.

• • •

სურათებზე: (ზემოთ) ნიუ-იორკი, მეშვიდე ავენიუ; (მარცხნივ ზემოდან) ვისკონსინის უნივერსიტეტის სტუდენტები; ტილტონი, შენობა სადაც მიმდინარეობდა გორდონის კონფერენცია.

ჯ. ლომინაძის ფოტოები.

ამბები

● **სახალხო ერთიანობის** მთავრობამ (ჩილე) მიიღო გადაწყვეტილება მოახდინოს კერძო „ბანკ დე ა. ედვარდს და „ომპანის“ ექსპროპრიაცია ფინანს უ რ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც მისმა ხელმძღვანელობამ დაუშვა. ბანკს არაერთხელ ჩაუფუშავს ოპერაციები „ჯპტალის უცხოელ მეანაბრებთან.

● **იაპონიის მთავრობამ** მიიღო გადაწყვეტილება გახსნას თავისი საელჩო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მომდინარე წლის 1 აგვისტოს. დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დამყარდა 1972 წლის თებერვალში.

● **საფრანგეთის რესპუბლიკის** პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ თვითმფრინავით ჩამოფრინდა იტალიის ქალაქ პიზაში. მას მოლაპარაკება ექნება იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯ. ლეონესთან და პრემიერ-მინისტრ ჯ. ანდრეოტისთან.

● **პოლონეთის ტერიტორიაზე** ნაცისტების დანაშაულობათა შესახებ 6 ათასზე მეტი ოქმი გადასცა უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში გფრ-ის, ავსტრიისა და დასავლეთ ბერლინის პროკურატურასა და სასამართლო ორგანოებს პოლონეთში ჰიტლერელების დანაშაულობათა გამომძიებელმა მთავარმა კომისიამ. 4 ათასი საქმიდან, რომლებიც განუხილავი დარჩა დასავლეთ გერმანიის სასამართლო ორგანოებში, 40-მდე პროცესი დაკავშირებულია პოლონეთთან.

● **ლონდონში ორი დღის** ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა მალტის პრემიერ-მინისტრი დ. მინტოფი. ეი შეხვდება ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჰიტს.

● **ოლსტერში მყოფი ინგლისის** ჯარები ახალ მაშველ ძალებს იღებენ. თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ უახლოეს ხანში ჩრდილოეთ ირლანდიაში გაიგზავნება კიდევ ერთი ბატალიონი. ამრიგად, ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში ბრიტანეთის ჯარისკაცთა რიცხვი 17.600 კაცს მიაღწევს.

● **ფედერალური დიდი ჟიური** განაგრძობს ჩიკაგოს პოლიციაში გამოძალვისა და კორუფციის ფაქტების გამოძიებას. სულ 13 პოლიციელს დაბრალდა ქრთამის გამოძალვა ქალაქის პატარა სამიკიტნოების მფლობელთა გ ა ნ. ოთხი პოლიციელი უკვე დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს პატიმრობა ერთიდან ოთხ წლამდე ვადით.

● **ნაირობის საქალაქო სასამართლომ** განაჩენი გამოუტანა კენიის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ პილოტს ომონდის, რომელსაც ბრალად ედება შეთქმულების მომზადება კენიის ახლანდელი მთავრობის დამხობის მიზნით. ომონდის მიესაჯა 10 წლის პატიმრობა.

ფაქტები

კარიზი ერთსულოვნებისა და სოლიდარობის აგორაზეერო

28 ივლისი. (საკლესი). პარიზში დამთავრდა ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობისადმი მიძღვნილი ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევროპის კონტინენტის 27 მოძმე პატიის წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

კონფერენციამ ერთსულოვ ნ ად მოიწონა ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის განცხადება.

ამის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ჟ. მარშემ ბეისადმი მიძღვნილი სემინარები და სამეცნიერო სესიები. ათასობით პოლონელი მშრომელი მიდის საბჭოთა კავშირში „მეგობრობის მატარებლებით“. ვარშავაში გაიხსნება გამოფენა „საბჭოთა კავშირი — ქვეყანა და ადამიანები“. კატოვიცის საოლქოდოში გაიმართება რუსული და საბჭოთა პიესების სრულიად პოლონეთის ფესტივალი, კონკურსი სსრ კავშირის ხალხთა ცეკვების საუკეთესო შესრულებისათვის. მთელ რიგ საოლქოდოებში ოქტომბერში მოეწყობა მომე საბჭოთა რესპუბლიკების დღეები, მოამზადებენ ხუთ მოძრავ გამოფენას სსრ კავშირისა და საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ.

სოფია. მომე სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ერთად ბულგარეთის მშრომელნი ემზადებიან, რომ ზეიმით აღნიშნონ სახელოვანი წლისთავი საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში.

დამტკიცებულია იუბილეისათვის მზადების ღონისძიებათა პროგრამა, რომლებსაც აწყობენ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტი, სამამულო ფრონტი, პროფკავშირები, კომკავშირი, მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტი, შემოქმედებითი კავშირები, ბევრი სხვა ორგანიზაცია.

დღესასწაულობის ცენტრალური მოვლენა იქნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიკადა, რომელიც ჩაივლის 5-დან 15 დეკემბრამდე. დიკადის დროს მთელ ბულგარეთში გაიმართება საზეიმო კრებები, სამეცნიერო სესიები, ლექციები, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამოები.

ნოემბერში სოფიაში მუშაობას დაიწყებს სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. საბჭოთა წიგნის ტრადიციული ყოველწლიური დიკადა, რომელიც დეკემბერში იმართება, წელს მიეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ბულგარეთის ყველა გამომცემლობა გამოუშვებს ღირსშესანიშნავი წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულებსა და ალბომებს.

(საკლესი. 28 ივლისი.)

ნიუ-იორკი „უარყოფენ“ ჭეშმარიტ ფაქტებს

28 ივლისი. (საკლესი). ამერიკის ოფიციალური წრეები კვლავ ცდილობენ გაანაღმილებინონ ეერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს თავისი წარმომადგენლის განცხადება, რომელმაც ამასწინანდელ პრეს-კონფერენციაზე დაგმო ამერიკის ავიაციის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საირიგაციო ნაგებობათა დაბომბვა.

განსაკუთრებული გაბრაზება გამოიწვია ვალდჰაიმის იმ სტატეგმა, რომ მის განკარგულებაში არსებული მონაცემებით, დაბომბილი ჯიბირებისა და კაუხალების ნგრევას შეუძლია გამოიწვიოს წყალდიდობა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე და დიდი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჯ. ბუშმა არათუ პროტესტი განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ამ განცხადების წინააღმდეგ, არამედ უკვე ორჯერ გამოვიდა ამერიკის ტელევიზიით ამის უარსაყოფად.

მან ვალდჰაიმს ბრალად დასდო ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის „პროპაგანდისტული შეტევის მხარდაჭერა“. მაგრამ თუ თავის პირველ გამოსვლაში ბუში სავსებით უარყოფდა საირიგაციო ნაგებობებზე თავდასხმების თვით ფაქტს, გუშინ უკვე იძულებული გახდა ეღიარებინა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები მაინც ბომბავენო ამ ნაგებობებს, თუმცა „განზრახ კი არა, საბრძოლო ოპერაციების დროს“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განცხადების უარყოფის „ამპანიაში ჩაბმა თვითონ სახლი. თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში რ. ზიგლერმა ვალდჰაიმის განცხადების გამო კორესპონდენტთა კითხვიების პასუხად კვლავ გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ის ოფიციალური ვერსია, თითქოს ამერიკელი პილოტები ბომბავდნენ არა ჯიბირებსა და „კაუხალებს, არამედ მხოლოდ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ობიექტებს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საირიგაციო ნაგებობათა დანგრევის ფაქტის უარყოფას ცდილობდა აგრეთვე თავდაცვის მინისტრი მ. ლეირდი. მილუოკში იგი ამტკიცებდა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „არასოდეს არ გაუცია ბრძანება ჩრდილოეთ ვიეტნამის კაუხალებისა და ჯიბირების დაბომბვის შესახებ“. მაგრამ შემდეგ მან არა მარტო განაცხადა, საირიგაციო ნაგებობანი იბომბება, თუ იქ „სამხედრო ობიექტებია განლაგებული“, არამედ დასძინა კიდევაც, რომ ასეთი დაბომბვები კვლავაც მოხდებაო.

ინდოეთი ფიდელ კასტროს გამოსვლა

28 ივლისი. (საკლესი). კუბელი ხალხი ამაყობს თავისი მეგობრობით საბჭოთა ხალხთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან, და ეს მეგობრობა მარადიულია, — განაცხადა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კუბის რევოლუციური თავისუფლების პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ეროვნული აჯანყების დღის გამო გამართულ მშრომელთა მრავალათასიან მიტინგზე.

ისტორიაში, ხაზგასმით აღნიშნა ფიდელ კასტრომ, არ ყოფილა ისეთი უანგარო, დიდი მეგობრობისა და გულწრფელი პატივისცემის ურთიერთობა, როგორც კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის არის. ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს რევოლუციური პრინციპები, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები.

საბჭოთა კავშირმა კუბის რევოლუციას გაუწოდა უანგარო დამხმარების ხელი, უსასყიდლოდ გადასცა კუბას იარაღი და მისცა კრედიტი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, თქვა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

სოციალისტური ქვეყნების ბანაკის მხარდაჭერამ, საერთაშორისო რევოლუციურმა სოლიდარობამ — ამ ორმა ფაქტორმა, აგრეთვე კუბელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებამ დაიცვას თავისი მონაპოვრები, განაპირობეს კუბის რევოლუციის კონსოლიდაცია, აღნიშნა ფიდელ კასტრომ. მან განაცხადა, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში კუბის შესვლა შეესაბამება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, კუბელი ხალხის, სოციალისტური ქვეყნების სხვა ხალხების ინტერესებს.

ეჭვი არ არის, თქვა ფიდელ კასტრომ, რომ კაცობრიობა მადლიერი იქნება საბჭოთა ხალხისა ყოველივე იმისათვის, რაც მან გაუკეთა, მადლიერი იქნება იმისათვის, რასაც ახლა აკეთებს და მომავალში გააკეთებს მისთვის.

ვაშინგტონი პრეზიდენტი აფრთხილებს კონგრესს

28 ივლისი. საკლესის კორესპონდენტი ვ. ჩუსეევი გვატყობინებს: პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აფრთხილებს ამერიკელ კანონმდებლებს, რომ არ გამოუყონ სხვადასხვა პრობლემებისათვის მეტი ასიგნებანი, ვიდრე მისმა მთავრობამ მოითხოვა.

ასეთი პოლიტიკის გარდაუვალი შედეგი იქნება, განაცხადა პრეზიდენტმა, გადასახადების მომატება და ინფლაციის ტემპის დაჩქარება.

ნიქსონმა მოუწოდა კონგრესს 1973 საფინანსო წელს ფედერალური მთავრობის საბიუჯეტო ხარჯები დააწესოს 250 მილიარდი დოლარის დონეზე. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვეტოს დაადებს კანონპროექტებს, რომლებიც ითვალისწინებენ „ზედმეტ ხარჯებს“ და ამით „საფრთხეს უქმნიან ფედერალურ ბიუჯეტს“.

პრეზიდენტის წერილი კონგრესისადმი მოწმობს დაძაბულ ურთიერთობას მთავრობასა და კონგრესს შორის, რომლის ბევრი წევრი დაბეჯითებით მოითხოვს შეიცვალოს ეროვნული პოლიტიკის ამოცანების პირველრიგითობა. კაპიტოლიუმის ბორცვზე რამდენჯერმე შეიტანეს საკანონმდებლო წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დიდი სახსრების გამოყოფას ქვეყნის გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, კერძოდ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგებში და სხვ. პრეზიდენტის წერილი მოწმობს, რომ ასეთ კანონმდებლობას თეთრი სახლი მტრულად შეხვდება.

ამასთანავე, როგორც აქ აღინიშნავენ, რამდენიმე ხნის წინათ პრეზიდენტმა სთხოვა კონგრესს დამატებით გამოეყო 2,6 მილიარდამდე დოლარი სამხრეთ-აღმოსაელეთ აზიაში ომის წარმოებისათვის. ეს თანხა უმთავრესად მოხმარდება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საჰაერო ომის დაფინანსებას.

გადასახადის გადამხდელთ დიდ დამატებით ტვირთად დააწვებათ ხარჯები, რომლებსაც მთავრობა მოითხოვს შეიარაღების ახალი სისტემებისათვის, როგორც აქ აცხადებენ, შორი მოქმედების ახალი წყალქვეშა ატომური ნავის „ტაიფენტის“, „ბ-1“ ხუბგვრითი ბომბდამშენისა და უახლესი შეიარაღების სხვა სისტემების მშენებლობა ქვეყანას 23 მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდება.

ავსტრალია აბორიგენების მოთხოვნა

28 ივლისი. (საკლესი). ფედერალური დედაქალაქის ტერიტორიის უმაღლესმა სასამართლომ უარი უთხრა სარჩელზე აბორიგენთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც მოითხოვენ დაიცვან ისინი პოლიციის რეპრესიებისაგან ავსტრალიის პარლამენტის შენობის მახლობლად „აბორიგენთა საელჩოს“ აღდგენის დროს.

ეს „საელჩო“, რომელიც კარავთა ქალაქს წარმოადგენს, აშენეს ქვეყნის 140 ათასი მკვიდრის წარმომადგენლებმა, რათა ყურადღება მიეპყროთ მათი მოთხოვნებისა და უუფლებო მდგომარეობისათვის.

აბორიგენთა კარვების ქალაქმა მხოლოდ ექვს თვეს იარსება, რის შემდეგ მთავრობამ სასწრაფოდ გამოაქვეყნა ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო მიწის გამოყენებას „ბანაკების მოწყობისათვის“. მალე პოლიციამ დაარბია „აბორიგენთა საელჩო“.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, აბორიგენთა ორგანიზაციებმა თავის მხრივ გადაწყვიტეს 30 ივლისს მოაწყონ მასობრივი დემონსტრაცია პარლამენტის შენობის წინ და აღადგინონ კარვების ქალაქი.

აბორიგენები მარტო როდი არიან მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლაში. მთელ ავსტრალიაში ფართოვდება მათთან სოლიდარობის მოძრაობა. ახალი სამხრეთ უელსის შტატის მშენებელთა პროფკავშირების ფედერაციამ გადაწყვიტა 29 ივლისს კანბერაში გაგზავნოს ასი მუშა აბორიგენების დასახმარებლად.

დედაქალაქში ჩამოვლენ აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სპეციალური რაზმები მელბურნიდან, ადელაიდიდან, ბრისბეინიდან და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

ლონდონი მუშების გაძარჯვება

28 ივლისი. (საკლესი). ინგლისელი მუშები აღნიშნავენ გამარჯვებას — გუშინ მათ მოიგერიეს უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი იერიში თავიანთ უფლებებზე.

განთავისუფლებულია ხუთი დოკერი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ „მრეწველობაში ურთიერთობის შესახებ“ ანტიპროფკავშირული კანონის საფუძველზე. ამ ხუთი დოკერის განთავისუფლება აქ აღიქვეს როგორც მუშათა სოლიდარობის ტრიუმფი.

„მთელმა მსოფლიომ იცის, — წერს დღეს გაზეთი „მორნინგ სტარი“, დოკერები საპყრობილედან გამოვიდნენ იმის შედეგად, რომ გაფიცვები ველზე გაჩენილი ხანძარივით გავრცელდა“.

მუშაობა ჩაკვდა ყველა ნავსადგურში, გაუკაცრიელდა შახტები, გაფიცვა გამოაცხადეს სატვირთო მანქანების ათასობით მძღოლმა, საავტომობილო ქარხნების მუშებმა. დღეს გამოვიდა მხოლოდ ინგლისელ კომუნისტთა გაზეთი „მორნინგ სტარი“, რომლის პირველ გვერდს სათაურად აქვს: „ისინი თავისუფალი არიან!“.

ლუსაკა რასისტები გავშვებს აპპატიმრებენ

28 ივლისი. (საკლესი). მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა ტანგვენის ტომის გადასახლების ოპერაცია მისთვის განკუთვნილ რეზერვაციაში, როდესაც პოლიციამ რეპრესიებს მიმართა ბავშვების წინააღმდეგ.

პოლიციამ მოაწყო იმ რაიონის ჩხრეკა, რომელიც უხსოვარი დროიდან ამ ტომის სამშობლო იყო, და 100 ბავშვი დააპატიმრა. მათ დასახლებენ მშობლიური ადგილებიდან შორს, რომლებიც სმიტის რეჟიმმა „თეთრკანიანთა ზონად გამოაცხადა“.

ამ ტომის მოზრდილი მოსახლეობა, რომელსაც პოლიცია ხშირად ეახმოდა ხოლმე თავს და აწუობდა ჩხრეკა-დაპატიმრებას, მთებში იმალება. პოლიციამ შეძლო დაეპატიმრებინა ერთ-ერთი ტანგვენელი, რომელმაც რასისტ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲐᲠᲐᲕᲓᲐ“ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲖᲔ

მაღალი შეფასება



მოსკოვში მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლებმა მაყურებელთა და თეატრალური კრიტიკის დიდი ინტერესი გამოიწვია. „პრავდის“ 22 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ტ. ჩებოტარევსკაიას რეცენზია სათაურით „სინსარულის მონინებები“, სადაც ავტორი მკითხველს აცნობს, თუ როგორ შექმნეს 1928 წელს ქუთაისში დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა და მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა ქართული თეატრი, რომელიც კოტე მარჯანიშვილის რეჟისორული ძიებისა და ნიჭის ასპარეზი იყო.

ავტორი წერილში აღნიშნავს, რომ მარჯანიშვილეთა ახლანდელი საგასტროლო აფიშა მრავალფეროვანია. უპირველეს ყოვლისა რეჟისორი ასწავლიდა თავის მოწაფეებს ხელოვნებაში დიდი ლიტერატურისადმი ერთგულებას. თეატრი ერთნაირი გატაცებით ღებულ მაღალი ტრაგედიის რანგის სპექტაკლებს — შილერის „დონ კარლოსს“, გუცკოვის „ბრიელ აბოსტბპ“, კორნეიჩუკის „სიმოლოგიურ პიესას „ხსოვნა გულისა“, დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ ა. გეწაძის დრამატულ პიესას „ᲕᲘᲜᲪᲚᲘᲡᲜᲘ ᲧᲝᲠᲪᲮᲚᲘᲡᲨᲘ“ (რეჟისორი ლ. მარცხულაია). თუ შილერის პიესაში ჩვენ დავინახეთ დიდი ვნებები, ხალხტურულად გამოძერწული - მიზნასცენები (რეჟისორი დ. ალექსიძე), „ხსოვნა გულისაში“ კი (იგივე დამდგმელი რეჟისორი). თავშეკავებული, თითქმის შენელებული რიტმია, გვიჩვენებს გმირების სულიერ განცდებსა გადაგვანილი აქცენტები, შეხედულება ახლო წარსულზე, განსაკ მომავალზე. მხიარულ, იუმორითა და ხუმრობით სავსე ატმოსფეროს ვხედებით კომედიურ სპექტაკლებში. ისინი ხხვადასხვაგვარნი არიან. ესენია ნ. გოგოლის „ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘ“, რომელიც დ. ალექსიძემ დადგა და „ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲝᲓᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲛᲘ“ (ავტორები ა. ცაგარელი, ა. წერეთელი, კ. ბახუტაშვილი) დადგმული ვ. გოძიაშვილის ნიჭიერი სცენური ინტერპრეტაციით.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი თავის რეპერტუარს ისე ადგენს, რომ წარსულს აკავშირებს აწმყოსთან და ამით მომავლისაკენ შემოქმედებითს ხიდს აგებს. შილერის „დონ კარლოხის“ დადგმას მარჯანიშვილი მცირე თეატრში აპირებდა, (სიკვდილმა შეაწყვეტინა ეს სამუშაო) ახლა გასტროლებზე კოლექტივი სწორედ ამ სცენაზე თავის „დონ კარლოსს“ წარმოადგენს, „ურიელ აკოსტა“ იდგმებოდა ქუთაისში, პირველ სეზონში და ეს იყო თეატრის შემქმნელის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა. რეჟისორის მოწაფემ ვერიკო ანჯაფარიძემ აღადგინა ეს სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავს.

საგასტროლო სპექტაკლების ყველა დადგმაში ვხვდებით ეპიზოდს, მიზანსცენას, სადაც ნათელი თეატრული ნიჭიერება ეხმარება სპექტაკლის მოქალაქეობრივი თემის გახსნაში. აი დონ კარლოსი (მ. ეფუტია) დგას სევდიანი და მშფოთვარე, მიყრდნობილი ვეებერთელა რიკულებიან ღობურს და ამ დროს ემრის ჰგონია, რომ იგი მეგობრის ვერაგობამ დაღუპა. გაღმით კი მარკიზი პოზაა. ხელებით ჩაფრენია რკინის გისოსებს (კ. მახარაძე), და ზეიმობს... ამ რკინის ღობურსაც კი არ ძალუძს მათი მეგობრობის ხელყოფა. მხოლოდ თავისი სიცოცხლის ფასად მან, პოზამ, გადაარჩინა პრინცი. ანდა ვეებერთელა შავი ჯვარი და მძიმე ჯაჭვი, რომლის ფერხთით შავით მოხილი ქალის ფიგურა გართხმულა... ეს პრინცესა ებილია (ვ. ყიფშიძე), იგი მწარედ დასტირის თავის ვამცემლობას.

სპექტაკლში „ხსოვნა გულისა“, როგორც წარსულისა და მომავლის გაწსჯის სიმბოლოს ქალს თავი დაუბრია და ფიქრებით უბრუნდება განცდილ დღეებს პარტიზანული ცხოვრების მღელვარე წარსულს (ვ. ანჯაფარიძე), ძველ ვოდევილებში გვაღელვებს მოხუცი მსახიობის მოძრავი, ჰაბუკური ენერგიით აღსავსე სასაცილო და გულისამაჩუყებელი ფიგურა, რომელსაც ვინ იცის უკანასკნელად გამოაქონდა თავისი ხელოვნება მაყურებლის წინაშე (ვ. გოძიაშვილი).

ავტორი ბევრ გულთბილ სტრიქონს უძღვნის დანარჩენი სპექტაკლების მონაწილეებსაც...

ბოლოს იგი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს და შენიშვნებს.

„შეიძლება ყველაფერს ვერ დავეთანხმოთ ქართველი მსახიობების სპექტაკლებში, მაგრამ ერთი კი ცხადია — ისინი გულგრილად არავის არ გვტოვებენ და ვგაღელვებენ თვითანთი საინტერესო შემოქმედებით.

ხანდახან მეტად პათეტიკურად გამოიყურებიან ტრაგიკული „აფეთქებები“, ზომაზე მეტად ხაზგასმული კომედიური სიტუაციები. აი ჯარისკაცები ბრძოლის წინ ელიან ბრძანებას (სპექტაკლი „წმინდანები ჯოჯოხეთში“) მანამდე ერთობიან, ხან ახალგაზრდა მოწყალების დასთან ხუმრობით, ხან კი ცეკვა-თამაშით. ხომ არ იქნება ეს ეპიზოდი ჩადგმულ ეთნოგრად, ზედმეტობად?! ანდა „დონ კარლოხი“, სწრაფად მოემართება ფინალზე ესპანეთის პრინცი. იგი ... თავს მდგარს. ხომ არ არის ახალგაზრდა ესპანელის პლასტიკაში და თვითონ მიზანსცენაში ხაზგასმული ხელოვნური მრავალმნიშვნელობა და სხვ. წერილის ბოლოს ავტორს მოკავყავს კოტე მარჯანიშვილის სიტყვები: „ᲛᲘ ᲘᲡᲣᲒ ᲛᲢᲙᲘᲪᲜᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲫᲔᲑ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲨᲘ, ᲕᲘᲫᲔᲑ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲚᲓᲠᲛᲘ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ“. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲑᲘ ᲐᲑᲠᲐᲰᲐᲛᲘᲡ ᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲫᲚᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲡᲐᲪ“.

ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘ „ᲫᲕᲔᲚᲘ ᲕᲝᲓᲕᲘᲚᲔᲑᲘ“, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲘᲠᲩᲐᲜᲘᲐ — ᲮᲡᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲚᲓᲠᲛᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲘᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲘᲜᲘ. ᲨᲔᲛᲝᲗᲕᲘᲗᲘᲗ ᲡᲣᲠᲗ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲐᲪᲘᲚᲔᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ. ᲣᲞᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ — 51 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲑᲔᲚ, ᲨᲔᲣᲤᲠᲗᲔᲑᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲑᲐᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲜ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ. ᲐᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲛᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲓᲠᲣᲐᲓᲔᲑᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲛᲒᲠᲘᲠᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲘᲐ. ᲗᲣ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲘᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲣᲓᲔᲑᲐᲛᲘᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲛᲒᲠᲘᲠᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲘᲐ. ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲣᲛᲔᲝ ᲓᲐᲐᲘᲜᲮᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲓᲠᲣᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲓᲠᲣᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲩᲐᲣᲓᲔᲑᲐᲛᲘᲡ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲛᲒᲠᲘᲠᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲘᲐ. ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲣᲛᲔᲝ ᲓᲐᲐᲘᲜᲮᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲓᲠᲣᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ